ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 64

ქ. ლაგოდეხი 19 ივნისი 2017 წ

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდობის საქმეთ და სპორტის განვითარების ცენტრი", დირექტორის ივანე ხაჩიძის სახით /„შემდგომში შემსყიდველი"/ იურიდიული მისამართი ქ. ლაგოდეხი, კოსტავას ქ. N-1 და მეორეს მხრივ შ.პ. ს. "სისტემები" -ს მისი დირექტორის გიორგი ნოზაძის სახით /„შემდგომში მიმწოდებელი"/ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის. /CPV-343 00000/.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მომსახურეობის მთლიანი ღირებულება შეადგენს 155 /ასორმოცდათხუტმეტი/ ლარს. (რემენი 60 ლარი, აკუმულატორი 50 ლარი, ამორტიზატორი 45 ლარი), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2 თანხის ანაზღაურება განხორციელდება მომსახურეობის გაწევიდან და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 კალენდარულ დღეში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად 2017 წლის 23 ივნისის ჩათვლით.

3.2. საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასტურდება, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე მხარეებს შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტით,რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველი და მიმწოდებელი.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. მომსახურეობის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

4.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მომხმარებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მომსახურების მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, შესრულებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს შესრულებული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი მომსახურება.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი მომსახურების

შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მომსახურებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურეობის მიწოდებისას მიღება–ჩაბარების აქტი და საანგარისწორებო დოკუმენტი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად მიღება–ჩაბარების აქტის და საანგარისწორებო დოკუმენტის საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი'' ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „ შემსყიდველს'' უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება;

7.1.2.„შემსყიდველს'' მიაწოდოს მოემსახურეობა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4.დროულად განიხილოს „შემსყიდველის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი'' ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლის'' დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2.განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს–მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3.ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარიდან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი იმფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და წარმოქმნილი დავა, მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ღირებულების 5%–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას:

15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

15.1.3.ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდალური დღის განმავლობაში;

15.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 24 ივლისის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

17.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“ მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. “სისტემები“

ს/კოდი: 202324225
მის. ქ. თბილისი დიდი ხეივნის ქ. N3
ს.ს. “თიბისი ბანკი“

ბ/კოდი TBGBGE22

ანგარიში GE49TB0600000360200252

შპს „სისტემები“

დირექტორი: გიორგი ნოზაძე

შემსყიდველი:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
„ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრი“

ს/კოდი: 433102821

მის: ქ. ლაგოდეხი, მ. კოსტავას ქ. #1
მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კოდი TRESGE22

დირექტორი: ივანე ხაჩიძე